რედაქცია
[გოლოვინის] პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ[ში,] კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (ვერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редак. „Дроэба".

„დროების" ფასი:
[წლიუ]რად . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
[ექვსის თვ]ისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასოთამთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილმანის ასოთი სტრიქონზე 8 კაპ.
თუ განცხადება მეოთხეჯერ, რედაქცია გამოსცემს და შემოკლებულს დაბეჭდავს. ...
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

ოთხის თვის ხელის-მოწერა.

პირველის სეკტემბრიდამ ამ 1882 წლის დამლევამდინ

„დროება"

ღირს გაგზავნით 4 (ოთხი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში — გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მ[უხრა]ნსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში — ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოსი")

[პე]ტერბურღი, 10 ენკენისთვეს. „...თებლობის მოამბეში" სწერია, ...ი ხოდენის მინდორზედ მომხდა... მოსკოვის ოკრუგის ჯარების და...ვა.

11 ენკენისთვეს იმპერატორი ცხე... გამობრძანდა პეტრეს სასახლე... მას ახლდნენ ჩერნოგორიის თა... და უავგუსტოესი ოჯახობა. ... საათზედ დახედეს გამოფენას სა... ელემენტარულ სკოლებს ნა...ლობის გამო იმპერატრიცის ფი... შესდგა განკერძებული სკოლე... პროექტი მომსვლელ ქალებისა... ყოველის წოდებისა, რომელნიც ...ებენ ელემენტარულ განათლე...

...ნდება ამხანაგობა დასაფუძნებლად ...ის საწყობთა.

[პე]ტერბურღის ბირჟა, 10 სეკტემბ.

| [ბა]ნკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| [პირ]ველი გამოცემისა — | 95 — „ |
| [მე]ორესი — — — — | 91—62 |
| [მე]სამესი — — — — | 91— ¹/, |
| მეოთხესი — — — | 90—25½ |
| მეხუთესი — — — | 90—12 |
| აღმოსავლეთის პირვ. — | 89—87 |
| აღმოსავლეთის მეორე | 89—87 |
| აღმოსავლეთის მესამე | 89—87 |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8— 7½ |

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

| | |
|---|---|
| პირველი სესხის — | — 214— „ |
| მეორე სესხის — | — 208— „ |

100 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — | 24—15 | პენსი |
| ჰამბურღი — | 206—25 | ცენტი |
| პარიჟი — | — 254—50 | სანტიმი |
| ბერლინი — | „ — „ | პფენიგი |

## გურია-ბათომის საქმეები

ტფილისი, 11 ენკენისთვეს.

ბათომის მხრიდამ გვაცნობებენ რამდენსამე ამბავს: უკანასკნელ მმართებლობას განკარგულებამ თავისი კარგი მხარე გამოიჩინა და ხალხი დაამშვიდა როგორც გურიაში, აგრეთვე ქობულეთში. ამ საქმეში კარგი შრომა მიიღო და გონივრული განკარგულება მოახდინა ბათომის გუბერნატორმა სმეკალოვმა.

დიდი ხანი იყო არეულობის ხმა და ჩივილი ისმოდა თუ გურიაში და თუ ქობულეთში; ამაზე აგერ ერთი წელიწადია ლაპარაკობდა ჩვენი გაზეთი, აფრთხილებდა ადგილობრივ ოზურგეთის მაზრის და ბათომის ოკრუგის მთავრობას, ღონის-ძიება მიეღო ავაზაკობის მოსპობაზე, რომ უკიდურეს განწირულებაში არ ჩაეგდო ხალხი, მაგრამ სანამ დანა ძვალზე არ მივიდა, და სანამ თვით მთავარ-მმართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი ადგილობრივად არ დარწმუნდა და ახალი განკარგულება არ მოახდინა, არც ბატონი ოზურგეთის უფროსი დადიანი და არც ბათომისა სტეფანოვი არას დასდევდა. ორივეს თითქოს ეძინათ და თავის ვალდებულობის ასრულებას ვალად არა რაცხდნენ. ეს ბატონები თავის მოვალეობას პრისტავებზე აგდებდნენ, რომელთაგან ზოგნი იქნება კეთილ სვინიდისიანებიც იყვნენ, მაგრამ საკმაო ღონის-ძიება არა ჰქონდათ.

შენი მტერი იქნებოდა, რაც მოხდებოდა, ამ უკანასკნელი მთავრობის განკარგულების ასრულება რომ იმათთვის მიენდო ბათომის გუბერნატორს სმეკალოვსა და თითონ არ ეკისრნა. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ ვერც ბატ. დადიანი და ვერც სტეფანოვი საქმეს არ გააკეთებდნენ; არევ-დარევდნენ და ხალხს ერთ უბედურებამდის მიაღწევინებდნენ.

ყოველ პატივისცემასთან და მადლობასთან ერთად გენერალ სმეკალოვისადმი კარგის განკარგულებისათვის და ხალხის დამშვიდებისათვის, არ შეგვიძლია დავჩუმდეთ ერთს საქმეზე, რომ ბატონი სტეფანოვის და დადიანის როლი გათავებულად უნდა ჩაითვალოს, ამიტომ უსარგებლოა, მათი თან ყოლა, როდესაც გენერალი სმეკალოვი სოფლებში დაიარება. ზევრს მოსახსენებელი სიტყვა რომ ჰქონდეს, ვერ გაბედავს მათ წინაალმდეგ სათქმელსა, იმათის მორიდებით.

საზოგადოდ უკანასკნელი განკარგულება მმართებლობისა ამ ორ ბატონ უფროსების უთაურობისა, უძლურებისა და უმხნეობისაგან წარმოსდგა. ცხადია, რომ ეს ორნივე თავიანთ ადგილას უადგილონი არიან; ამათ ხალხის თვალში აღარა აქვთ მნიშვნელობა მეტადრე, როდესაც მათს მოქმედებას ადარებს გენერალ სმეკალოვის მხნეობასა. ამ უკანასკნელის მოქმედებამ დაარწმუნა ხალხი, რომ ბეჯითი მოსაზრება და სურვილი თუ აქვს ხალხის დამშვიდებისა რომელსამე მთავრობის კაცსა, მალე შეიძლებს ამის მოხერხებასა.

რა უბედურება ტრიალებდა ამ უკანასკნელ წლებში, ეს ყველამ იცის. შარშან წინ ბათომის ოკრუგში და მეტადრე ქობულეთის მხარეს ავაზაკობა გაძლიერდა, ამასთანავე გურიაში. ქობულეთლები სჩიოდნენ, სტიროდნენ, გვიშველეთ რამე, თორემ ველარ გავძელით, ველარ დავდგებითო. ჩიოდნენ სწორედ ისე, როგორც მთავარ მართებელს შესჩივლეს გურულებმა. ბატონი სტეფანოვი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ამ ბატონს რალაც ფეხი აქვს: სადაც ფეხი შესდგა, ხალხმა მამა-პაპის მიწა-წყალს თავი

---

„დროების" ფელეტონი, 12 სექტემბ.

### მამის-მკვლელი

(მოთხრობა*)

— აქ გამოდი!

— რაი გინდა? — უპასუხა გაკვირვე[ბი]თ მწყემსმა, რადგანაც არ იცო[და], რისთვის მიეწერა ბირგოლას [ამ]ხნებლობით ლაპარაკი.

— აქეთ გამოდი და მაშინ გაიგებ!

— იცი რაი გითხრა... თუ სტუმ[რად] გვეწვიევი, ჩამოხე ცხენიდგან, [ცხ]ვარს დაგიკლავთ, პურს გაჭმევთ [და] გაგისტუმრებთ, თუ არა და, ღვთის [მად]ლმა, ბატონობით ვერც რას ვერ [წაი]ღებ.

[ბ]ირგოლამ შეხედა მეცხვარეს და [თავ]-მოსულობა შეატყო სახეზედ, [რომე]ლზედაც ალმული აზდიოდა. ბირ[გოლ]ას სულაც არ უნდოდა მეცხვა[რესთ]ან ჩხუბი და იმისი წყენინება, მაგრამ როდესაც კაცი უსამართლოდ ძალას მოიპოვებს, მაშინ ამ გვარი ცხოვრება სრულიად აბრიყვებს კაცს და ავიწყებს სხვის პირადობას. არამც თუ წყენინება არ უნდოდა იმას, არამედ დამეგობრებაც-კი ეჭირებოდა მწყემსთან და თუ პირველად შეუტია, შეუტია მხოლოდ იმისთვის, რომ ეგონა შეაშინებდა, დაიმორჩილებდა და ამის შემდეგ თავის ყურ-მოჭრილ ყმად გაიხდიდა და რასაც უნდოდა იმას აქნევინებდა; მაგრამ რა მეცხვარის მამაცად დახვედრა ნახა, ხმის და თავისი საქციელის გამოცვლა აჯობინა.

— მე შენთვის არა მიწყენინებიარა, რაისთვის ჯავრობ? — უთხრა იმან.

— აი აგრე არა სჯობს ლაპარაკი? — პითხვით უპასუხა მწყემსმა.

— მე სტუმრად მოვედ, მეგონა მწყემსებმა სტუმრის დახვედრა იციან და შენ-კი მეჩხუბები.

— თუ სტუმრად მოხვედ, აჰა ჩემი თავი: შენ ბატონი და მე ყმა, — უპასუხა მეცხვარემ, მოიხადა ქუდი და ჩაუგდო ბირგოლას ცხენს ფეხებში.

— ჩამოხე და ნახამ — ვიცით სტუმრის დახვედრა თუ არა.

ამ სიტყვებთან ერთად იმან ერთი ხელი გაავლო ბირგოლას ცხენის ჯილოს და მეორე უზანგს მოჰკიდა, როდესაც სტუმარი ჩამოხტა, მწყემსი გაუბრუნდა იქ მყოფს ერთს მეცხვარეს:

— ბასწი თოლშია (შავა) დოლაჭედილა რომაა, ჩამოიყვანე, დაჰკალ და ჩაყარეთ. თქვენც ცეცხლი გაანთეთ ჩქარა! — მიუბრუნდა მეორე მწყემსებს. — მოდით თქვენი ჭირიმეთ, მოდით! — ეპატიჟებოდა სარქალი სტუმრებს, რომლებიც ამ ჟამად ცხენებიდგან ჩამოხტნენ.

ყველანი დასხდნენ და დიდი ხნის ალმა სიარულისაგან დაღალული მუხლები დაასვენეს. ზოგნიც წამოწვნენ მწვანე მინდორზედ და დასუსტებული, თუ დაზარმაცებულის თვალებით გასცქეროდნენ ქაფისგან რძესავით გათეთრებულს მაღალი კლდიდგან გადმონაჩქებს წყალს, რომელიც ათას წინწკლებად იქცეოდა, ათას-გვარ ფერადად შესთამაშებდა მზის შუქს და მერე ჩრდილის ფარდახტით ნამამდა ბალახს.

რამდენიმე წუთში საკლავი დაჰკლეს, მოამზადეს გემრიელი სადილი, ისეთი სადილი, რომელიც მხოლოდ მწყემსებისაგან მზადდება და იმაზედ უგემრიელესს კაცი ვერაფერსა სჭამს.

ყველანი ჩუმად და საჩქაროდ სჭამდნენ, სანამ შიმშილს მოიკლამდნენ, მაგრამ რა შენაყრდნენ, დაიწყეს ლაპარაკი. მასპინძელმა პირველმა დაიწყო.

— ბირგოლაუ!.. შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი? მხლა გავძეხით, გვითხარ, რაი გინდა?.. თუ „ოჩხარის" გაკეთებას აპირებ, მითხარ და სხვა მწყემსებსაც შევყრი.

*) იხ. „დროება", № 108.

დაანება. აჭარაში იყო უფროსად და ხალხი ნახევარი აიყარა; ბათომის ოკრუგში იყო და ისევე იმისთანა ამბავი მოხდა: მთელი ოკრუგის ნახევარზე მეტი მცხოვრებელი გადასახლდა ოსმალეთში. უკანასკნელ დროს, მართალია, ქობულეთში კეთილ-სვინიდისიანი კაცი დანიშნეს უჩასტკის უფროსად, მაგრამ რაღა დროსი იყო, სტეფანოვისაგან დანიშნული უფროსის ბაქბეუქოვის დროს მოხდენილმა საქმეებმა თავისი მოიქმედეს. ხალხში ისე უყურებდნენ ბაქბეუქოვს, როგორც სომეხ მოვაჭრეს.

უმაღლესმა მმართებლობამ დაბრუნების ნება მისცა გასულ მუაჯირებს, და ამ უკანასკნელ ხანებში, რა კი შეიტყეს ქობულეთში ახალი კეთილი უფროსი დაუნიშნავთო, ბევრიც უკან დაბრუნდა. იმედი უნდა გვქონდეს, რომ კიდევაც მეტი დაბრუნდება, მაგრამ სტეფანოვის სახელი მათ აფრთხობს. თვით აჭარაშიაც ასე იყო: სანამ ბატონი სტეფანოვი იქ იყო, არავინ დაბრუნდა. რაკი აჭარიდამ გადაიყვანეს, ხალხმა დაიწყო დაბრუნება.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ბათომის ოკრუგში რომ გრიგოლ გურიელი დარჩენილიყო, არც ხალხი გადავიდოდა და არც ის არეულობა და ფირალობა იქნებოდა, რომელიც ამის შემდეგ იყო. შესანიშნავია ის გარემოება, რომ სანამ გრიგოლ გურიელი უფროსად იყო ბათომში, არავინ გავიდა ოსმალეთში და ორიოდ ფირალს გარდა, (რომლისთანა ყველგან მოიპოვებიან, თვით ტფილისის მაზრაშიაც), სრული მშვიდობა იყო. იმოდენა მხნეობა, საქმიანობა, და გავლენა ჰქონდა ხალხში, რომ ხალხი „ბატონ გრიგოლს“, ბატონ „მამას“ უწოდებდნენ. ის იყო პატიოსანი მოხელე, თავისის თანამდებობის ალმასრულებელი და გონიერი მცოდნე იმისი—თუ რა რიგად შეუთვისოს ახალი შემოერთებული ხალხი ახალს მმართებლობასთან.

რაც შეეხება ოზურგეთის მაზრის უფროსს თავად დადიანს, იმაზე „დროებაში“ ბევრი თქმულა და არც სადმე არის დაფარული... ყური მიუგდეთ ხალხსა და ხომ მოგეხსენებათ: „ხმა ღვთისა—ხმა ერისაო“.

## დღიური

„მოსკოვის უწყებებში“ სწერია, რომ უმაღლეს მმართველობას მიუღია ასარჩეველად შუამდგომლობა კავკასიის კეთილშობილთაგან, მოკლებულ გიქმნას ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ცენზი ადგილ მამულებზედ, ამორჩევებზედ ხმის უფლების მიღებისათვის. მოგეხსენებათ, რომ თავად-აზნაურის არჩევნებზედ იმ მემამულეთ არა აქვთ ხოლმე კენჭი, ხმა, რომელნიც 500 დესიატ. მიწის მფლობელნი არ არიან.

* * *

ბაქოს გზამ ერთობ ადრე გვისუსტა, თუ მართალია ის ხმები, რომელიც ბაქოს გაზ. „კასპიამ“ მოგვიტანა. ადჟარლის სტანციის მახლობ ბაქოს რკინის გზაზედ, ათი ვერსის სიგრძეზედ ამ წინა ხანებში მოსულმა წვიმებმა წარეცხეს რელსებიო, რის გამოც მატარებელი აღარ მოქმედებს დროებით ტფილისსა და ბაქოს შუაო. ალაგობრ ნიაღვარს კაცის სიმაღლემდე ნარვლები გაუთხრიაო.

გუშინ მოვიყვანეთ „შრომიდან“ შენიშვნა, რომ ბათომის რკინის გზის დაუსრულებლობა ყოველ მნახველს აკვირვებსო, მაშინ როდესაც ბაქომდი, მეტს მანძილზე ეგე მსწრაფლ გაიყვანეს გზაო. არა, ბატონო, ისევ გვიან იმუშავონ და ერთგულად ისა სჯობია, ვინემ შემდეგში ყოველმა წვიმიანობამ წალეკოს და ათასი შეკეთებ-შემოკეთება მოუნდეს ყოველ წამში.

* * *

სამშაბათს, 14 ენკენისთვეს ტფილისის რეალურს სასწავლებელში იქნება წლიური აქტი. მმართველობა სასწავლებლისა სთხოვს განათლების წარმატების მოსურნე პირთა დაესწრონ ამ დღესასწაულზე ხსენებულის სასწავლებლისა.

* * *

ბათომიდგან გვწერენ, რომ ქალაქის უფროსს ბ. ბერსს ამ დღეებში ღამე დაეცნენო მოსაკლავად თავადი პ. ე—ვი რამდენიმე ავაზაკით, მაგრამ რადგანაც ერთს პირს გაეცა ამათი მოქმედება, ბ. ბერსს წინადვე მოემზადებინა ხალხი და პ. ე—ავი ამხანაგებით დაიჭირესო.

* * *

გურიიდგან გვატყობინებენ, რომ ბევრი უწესოება ხდება ავაზაკების დაჭერის დროს, რადგანაც ზოგი ერთების დაბეზღება და დაჭერა მარტო ჯიბრის შედეგიაო.

უკეთუ გული ვისმე ვიზედმე ეღრინება და ამ გაჯავრებულს გავლენა აქვს საზოგადოებაზედ მის მოწინააღმდეგეს თავის თავის იმედი გადაწყვეტილი უნდა ჰქონდესო.

* * *

ამ წინახნებში მოკლული ნაკაშიძის თაობაზედ კიდევ ახალი პირი, ნათესავი მოკლულისა, დაიჭირეს, რადგანაც მკვლელმა გამოაცხადა, რომ ამისი მოსყიდული ვიყავიო და იმისთვის მოვკალიო. ო. დ—ანს კი, რომელზედაც პირველად დაუჩვენა, როგორც მომსყიდავზედ, ეხლა ამბობს—არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო(?).

* * *

ფოთიდამ გვწერენ:

„ამ მოკლეს ხანში გვესტუმრა ფოთელებს ერთი პეტერბურღელი ექიმი—გვარად დიუნკანი. ფოთელებმა რაკი შეიტყეს, რომ ეს დიდი სახელოვანი ექიმია, მოსვენებას აღარ აძლევენ, დილიდამ საღამომდისინ აუარებელი ხალხი ეხვევა. ექიმიც დიდის ყურადღებით არჩევს ავადმყოფობას და არც არავის რასმესა სთხოვს ჯერჯერობით. სთქვა რომ კავკასიაში უნდა დავესახელოო და სამკურნალოს გაღებაცა მსურს აქაო“.

## წერილი რედაქტორთან.

არც ცხადის ძალით წაართმის,
არც მალვით მოიპარვის!

დ. გურამიშვილი.

ბ-ნო რედაქტორო! რამდენიმე სიტყვა მინდა მოვახსენო „დროების“ მკითხველებს შესახებ იმ წერილისა, რომელიც დაბეჭდილია ჩვენთვის უჩინო ავტორისაგან ამ გაზეთის მე-188 №-ში, შესახებ კერძო პირებისაგან სასწავლებლების გამართვისა ჩვენს ქალაქში.

ყველა კეთილ-მოღვაწე პირთ შორის ეს აზრიც არის მჭიდროდ გამჯდარი: ყოველი საზოგადო სენის აღმოსაფხვრელად აშკარად იხმარებოდეს ღირსეული და ყველასაგან მიღებული საშუალება და იარაღი. ამასვე მოითხოვს პატიოსნებაც...

ეხლა გავარჩიოთ ზემოხსენებული წერილი და გამოვიკვლიოთ—რამდენად ასრულებს ამ ჭეშმარიტებას იმის შემთხზველი.

„ამ უკანასკნელ ხანებში,—ამბობს ბ-ნი უჩინარი ავტორი,—ჩვენს ქალაქში ერთობ გავრცელდა სხვა-და-სხვა გვარი კერძო სასწავლებლები. უმეტეს წილად ამ სასწავლებლების დამაარსებელნი არიან აქაურ სახელმწიფო სასწავლებლების მასწავლებლები... მაგრამ, რადგან ამათ ნება არა აქვთ ამ გვარის სასწავლებლების დაარსებისა, ერთმანეთ შორის ადგენენ წრეს და სხვისი სახელით, ფირმით აარსებენ ხოლმე ჯერ პირველ ორ-სამ კლა-

---

— მე შენი გაცნობა მეწადის, „ოჩხარი“ რად მინდა *)?

მეცხვარემ გაკვირვებით შეხედა.

— ჩემი გაცნობა?... მე რაი ისეთი კაცი ვარ, რომ ჩემი გაცნობა მოგეწადოს?..

— ცხო არც რა, ღვთის მადლმა. შენი გაცნობა და შენი ძმობა.

— ჩემი ძმობა რაში გეკადრების, მე ერთი მეცხვარე, გაუთლელი მთის კაცი და შენ კი ხემწიფის სამსახურისა!

— აი რაისთვის, ყური მომიგდე! უთხრა იმან და თვალი მოავლო იქ მყოფს ხალხს, თითქოს იმათ დასწრებით ლაპარაკს ერიდებოდა.

მწყემსი მიხვდა და უთხრა:

— მითხარ რაიც გინდა, მე მაგათთან დასარიდები არა მაქვს.

— ჩემი საქმე ისეთია, რომ სხვასთან ვერ გეტყვი.

— მაშ კარგი გავიდეთ იქით.—უპასუხა მწყემსმა და წამოდგა.

ისინი გავიდნენ ცალკე და ისე მოშორებით დასხდნენ, რომ იმათი ხმა ამხანაგებს ველარ მისწვდებოდა.

— შიოლაუ, დაიწყო ბირგოლამ.—შენც ხომ იცი, რომ ამ მთას სახემწიფოთ გედავებიან?

— ჰაი, ჰაი, რომ ვიცი!

— ისიც იცი, რომ ჩამორთმევას გიპირობენ?

— გვიპირობენ, მაგრამ გავწყდებით, ღვთის მადლმა, და არც ვის არ დავანებებთ.

— რაისთვი, რაისთვი?—სიჩქარით უპასუხა ბირგოლამ.—რაისთვი უნდა გასწყდეთ?

— იმისთვი, რომ ჩვენს მამას სჭერია ეს მთა და ჩვენს პაპას, საიდგან მოვიდა აქ სახემწიფო ალიაგი?

— მაგას ვილა არჩევს, ბედშაო!.. მოინდომებენ, წაგართმევენ.

— ცოცხლებს?.. არა მგონია!

— რაი გამოვა თქვენის სიკვდილით?

— რაიც უნდა გამოვიდეს, მოვისვენებთ მაინც. თუ ეგ მთა წაგვართვეს, ღვთის მადლმა აღარ გვეცხოვრების,—ისევ სიკვდილი სჯობია.

— მე რომ ისე გაგირიგოთ, რომ თქვენვე დაგრჩესთ?—ცოტა სიჩუმის შემდეგ წყნარა და გარკვევით უთხრა ბირგოლამ და დაუწყო ყურება.

— შენა?

— ჰო, მე.

— თუ-კი მაგათ შარს მოგვაშორებ, ღმერთს არ მოეტყუების, რასაც დაგვისახელებთ იმით გემსახურებით.

— მაშ კარგი, არ დაივიწყო შენი სიტყვა.

— რაი დამავიწყებს?

— მე შენ გაგირიგებ მაგ საქმეს, მხოლოდ შენც სამაგიერო უნდა გადმიხადო.

— აი ეს „ცხორანი“ მყავს და თუგინდ შუაზედ გაგიყოფ.

— მე „ცხორი“ არ მინდა „ძოლანვე“ გითხარ.

— მა რაი გინდა, რაი გვაქვს შენი მოსაწონი.

— ძმობა, მეგობრობა!

მწყემსმა წყნარად შეხედა და პასუხი ვერ მოახერხა. ის იცნობდა ბირგოლას, იმის გაუმაძღრობას და თვალ-ხარბობას სამზღვარი არ ჰქონდა და ეხლა თითქმის საცხოვრებელს აძლევდნენ და ის-კი უარზედ იდგა!

მაშ რა უნდოდა ამ მოძმის მოლალატეს? რისთვის დასჭირდა ეს მწყემსი, რომლის თავის დაკვრაზედ კვლავ დროს პასუხსაც არ ალირსებდა და ეხლა-კი ერთბაშად ძმობა და მეგობრობა მოეწადნა?!

ის ირეოდა ამ აზრებში და პასუხი ვერც თავის თავისათვის მიეცა და ვერც სტუმრისთვის.

— შიოლაუ! შენ განთქმული სარქალი ხარ, თემობაში გამოჩენილი... რაისთვი გიჭირდების პასუხი.

— ცხო დრო მოვიდა ბირგოლაუ, ცხო დრო!.. უწინ რომ ყოფილიყო ეს ანბავი თემს შევყრიდი იმათთან ვიჩივლებდი და რაისაც ისინი იტყოდნენ იმას დავადგებოდი... მაგრამ ეხლა სამართალი აღარაა, დანდობა განქრა, ძმა ძმას ველარ ენდობის.

— უწინ რაი იყო?.. ეხლა სულ „ზაკონის კანონით“ არის. დალოცა

*) მთაში ჩვეულებათა აქვსთ, მსურველი მივა მეცხვარეებში და ითხოვს ცხვარს, ისინიც მოუგროვებენ და მისცემენ. ამ გვარად ცხვრის მოგროვებას ქვიან „ოჩხარი“.

...ებს და შემდეგ პროგიმნაზიებს და გიმ-ნაზიებსაც.... სხვისი ფირმა აცხადებს ამ სასწავლებელში ეს და ეს პირები იქმნე-ბიან მასწავლებელნიო".

შემდეგ ბ-ნი უჩინარი ავტორი ოხუნ-ჯობით გააგრძელებს:

„ცხადია, თუ რა მიზანი აქვს, რა სარ-ჩული ამ გვარს განცხადებას!"

დიახ, ჭეშმარიტია, რომ ამ უკანას-კნელს ხანებში ერთობ გავრცელდა ჩვენს ქალაქში ყოველ გვარი კერძო სასწავლებლები. როგორც ყოველ ...ოვლენას ჩვენს ცოდვილს დე-დამიწაზედ—ამ „გავრცელებასაც" აქვს თავისი მიზეზი. ამის ახსნაც შეგვიძ-ლია ორივეს ერთად, ბ-ნო უჩინარო ავტორო: სჩანს ძრიელ გარდამეტებუ-ლი სწავლის სურვილი ჩვენი საზო-გადოებისა არ კმაყოფილდება იმ ორი ...მოდე „სახელმწიფო" სასწავლებ-ლებით, რომელნიც სახელ-განთქმულ-ნი არიან ჩვენს ქალაქში და ეს მოვ-ლენა უნდა იყოს კიდეც ამის მიზეზი, ...დამეთანხმეთ.

...უნდა იყოს-თქო, ვამბობ—ამას ჩემ-...თქვენც მიმხვდარი ხართ, ბ-ნო ...ინარო ავტორო, რისთვისაც ვამ-...ბ ევრე საეჭვოდ: უმრავლესი ნა-...ლი კერძო სასწავლებლებისა და ...სიონებისა სარგებლობს ეხლანდე-...ს საზოგადო მოთხოვნილებით, რომ ...გორმე „საქალამნო ასწკაპნონ", ...საკვირველია, ჩვენი უმისოდაც ...ლასაგან ილაჯ გაწყვეტილი თავად-...აზნაურობის ჯიბას. მაგალითების მო-...ძებნად შორს წასვლა არ მოგვინ-...დება არც მე და არც თქვენ. მხო-...ლოდ ერთილა მაკვირვებს: რამ გაი-...ძულათ რომ ეხლა მოგიფიქრნიათ ამ ...ცოვო (ვითომ?) აზრის გამოთქმა? ...ვობ, რომ დღემდის არ გქონდესთ ...მჩნული ეს საზოგადო სენი. იქ-...ნება იმან გაიძულათ ეხლა კალმის ...ა, რომ წელს კერძო სასწავლებ-...ლების რიცხვს ერთი კიდევ მიემატა?

უთუოდ, რადგანაც თქვენ თვითონ ამბობთ, რომ „აქაურ სახელმწიფო სას-წავლებლების მასწავლებელნი", თუმცა ნება არა აქვთ სასწავლებლების დაარ-სებისა, მაგრამ „სხვისი სახელით მაინც აარსებენო".

და მარტო წელს მოგსვლიათ სურ-ვილი გააფრთხილოთ მშობლები და უთხრათ, რომ თქვენი შვილები ამ სასწავლებელში კი არა—კერძო პი-რებისაგან დაარსებულ პანსიონებში მიიყვანეთო, რადგანაც იქ არც ქრთა-მი და არც მიდგომ-მოდგომა არ იქ-ნებაო. ეს გნებავსთ დღეს გვითხრათ განა? თუ ეს აზრი არა, მაშ რამ გაი-ძულათ, ბ. უჩინო ავტორო, ზემო ამოწერილი სიტყვები გეხმარათ? ნუ თუ, თქვენის ფიქრით, ნება არა აქვთ „სახელმწიფო" სასწავლებლების მას-წავლებლებს კერძო სასწავლებლების გახსნისა? დაფიქრდით რას ამბობთ!.. „ცხადია, თუ რა მიზანი აქვს, რა სარჩული ამ გვარს განცხადებას!"

ამ უკანასკნელი ორი-სამი თვის გაზეთები რა-და-რა ნაირი წოდების და ღირსების სასწავლებლების და პანსიონების განცხადებებით არ იყო გაჭრელებული! ამათ შორის მხო-ლოდ ერთი ვიპოვეთ ჩვენ ისეთი განცხადება, სადაც სწავლა-განათლე-ბის საქმე არის რამოდენიმე საპატიო პირთ ხელში. ეს გახლავსთ, ბ. უჩი-ნარო ავტორო, ბ. მირიმანოვის პრო-გიმნაზია, რომელიც წელს დაარსდა, როგორც ვსთქვი, ზემოხსენებულ პირ-თა მოღვაწეობით. იქნება თქვენ გნე-ბავსთ თქვენი წერილი ამ სასწავლე-ბელს მიჰმართოთ? არა მგონია. ამ შემთხვევაში, ეს რომ ესე იყოს, ცხა-დია, დანარჩენი კერძო სასწავლებლე-ბის პატრონები ამისათვის დიდ მად-ლობას შემოგწირავდნენ და ეს ხომ მე რომ მკითხოთ, საშინელი უსა-მართლობა იქნებოდა თქვენის მხრით. ამის მიზეზსაც მოგახსენებთ.

ვინ არ იცის რა საშუალებას არ ხმარობენ ზოგიერთი კერძო სასწა-ვლებლების პატრონები, რომ რო-გორმე თავიანთი „ნახელავებ"" გა-ტარონ „სახელმწიფო" სასწავლებ-ლებში. დადგება თუ არა მარიამო-ბისთვის ბოლო, როცა საზოგადოდ ეკზამენები იწყება ხოლმე, დაიწყება ამ „პატრონების" ალილოსავით ჩამო-ტარება „ყველა სახელმწიფო სასწავ-ლებლებში. არის ამათი ერთი ხვეწ-ნა-ვედრება იქნება როგორმე „ნახე-ლავებს" თავი შეაყოფინონ სადმე. მაგრამ—გაიხედავთ საწყალი ყმაწვი-ლები ერთი სასწავლებლიდამ მეორე-ში თხებსავით მიირეკებიან და ბო-ლოს, იქნება, ვერც მიხვდენ სადმე; ანა და, თუ მოხვდებიან—სრულებით სხვა ადგილას, სადაც ფიქრათაც არ ჰქონია საწყალთ შესვლა. ამის მაგა-ლითები ბლომადა გვაქვს და თუ სა-ჭირო იქნება-მზადა ვართ საქვეყნოდ გამოვამჟღავნოთ.

ამ „პატრონების" ყოველ-გვარ უსა-მართლობის გარჩევას რომ შევუდ-გეთ—შორს წავალთ, პაწაწკუნა გა-ზეთის ადგილიც არ გვაძლევს ამის ნებას, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ მხოლოდ ეს წყობილება და უსამარ-თლობა კერძო სასწავლებლების უმ-რავლესი ნაწილებისა გახლდათ მი-ზეზი, რომელმაც დაჰბადა ოთხი კა-ცის მეცადინეობით ზემოხსენებული ბ. მირიმანოვის სახელობით კერძო სასწავლებელი. აქ რომ ფულის ინ-ტერესი არა აქვთ ამათ დამაარსებ-ლებს უწინარესად სახეში—ეს ცხადია ყველასათვის, თუ მხედველობაში მი-ვიღებთ ამ ახალი სასწავლებლის მდგო-მარეობის, იქ მოსწავლეთ რიცხვს და, კიდევ უმჯობესი,—ამ მოთავეთ მა-ტერიალურ შეძლებას. კმარა დავა-სახელოთ ეს პირნი, რომ ყველა დარწმუნდეს ამათი პატიოსნურ განძ-რახვაში.

ა) ბ. ბრენიოვი—საქალებო გიმ-ნაზიის მასწავლებელი—ბ. მირიმანო-ვის სასწავლებელში ასწავლის მათე-მატიკას.

ბ) ბ. მარტინოვსკი—სავაჟო პირ-ველი გიმნაზიის მასწავლებელი—აქ ასწავლის ძველ ენებს.

გ) ბ. ბოროდენსკი—სამასწავლებ-ლო ინსტიტუტის მასწავლებელი—აქ ასწავლის რუსულ ენას.

და დ) ბ. Ი. ბამყრელიძე—სავაჟო მეორე გიმნაზიის მასწავლებელი—აქ ასწავლის მათემატიკას, გეოგრაფიას და ქართულ ენას.

ამ პირებმა თავიანთი ცალკე გა-ნარკვევი შეამცირეს შეძლებისა მებრ, რომ ამ კერძო სასწავლებელში მო-ასწრონ საქმის გაკეთება და უთუოდ დილ-დილაობით, სადილობამდის, რო-მელსაც მოითხოვს თვითონ ყმაწვი-ლების ბუნებაც. ცხადია, რომ მათი შრომა კეთილ განზრახულია და თქვენ, ბ. უჩინო ავტორო, გამონავარდებუ-ლიხართ ამათზე და ისეც მარტო „ენა ლიკლიკით."

მე თანახმა ვარ თქვენი, რომ „ორ-სამ კვირაობით" შეუძლებელია მოამ-ზადოს ვინმემ „ყოვლად უმეცარი ყმა-წვილი" და „ის ფული რომელიც მათ ეძლევათ მშობლებისაგან, — უფრო ქრთამია მათთვის ვინემ, შრომის ფა-სი"—ეგ ხომ ყველასთვის ცხადია და იქვი არ არის, რომ ამ გვარების ჩამ-დენი უნდა იდევნებოდეს ჩვენი ცხოვ-რებიდამ, უნდა იდევნებოდეს მისთვის, რომ ამაზედ უფრო მეტი უსვინიდისო გლეჯა სხვისი ჯიბისა—ყოვლად შეუძ-ლებელია. თქვენ რომ მართლაც ამ გვარ პირებს სდევნიდეთ თქვენს წე-რილში—მე ხმასაც არ ამოვიღებდი, მაგრამ განძრახვა თქვენი სულ სხვა არის, როგორც გეტყობათ.

თქვენი წერილი მიმართულია პირ-და-პირ ბ. მირიმანოვის სასწავლებელ-ზე და ეს არის, რომ გვაკვირვებს ჩვენ მაშინ როდესაც ჩვენ დარწმუ-

---

...რომა ხელმწიფე იმპერატორი!—...ა ბირგოლამ.

...ამ სიტყვებს შემდეგ კიდევ რამო-...მე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ-...ლის დარღვევაც ბირგოლას მოუნდა, ...ანაც შიოლა ღრმა ფიქრმა წაი-...

— მოთხარი, გინდა თუ არა?

— მაი ბირგოლაისი, პირ-და-პირ ...რ, რაი გინდა ჩემგან?

— აგრე... პირ-და-პირ გეტყვი: მე ...თის საქმეს გაგირიგებ, შენ Ია-...დაჭერას მიშველე.

— მე გიშველო?—ფიქრით იკითხა ...ლამ.

— ჰო, შენ?

— მე საით უნდა გიშველო? საით ...ლიან?

— თუ მოინდომებ, კიდეც შეიძ-...Იაგოს ცხო დღე არა აქვს, თუ ...რეებში არ იარა... ბარად ის ჩამოვა. როცა გესტუმრების ჩუ-...შემატყობინე და მეც ყაზახებით ...დავესხმებით...

— რაი? მოკლეთ იკითხა მეცხვა-

— როცა გესტუმრების შემატყობი-ნე მეთქი...

— სტუმარს ულალატა, პურმარი-ლი ვჭამა?.. რას მესაუბრები ბირგო-ლაისი?

— რაია, რისა გეშინის?

— სუ!.. აღარ გაიმეორა!—წარბებ შეჭმუხვნით წარმოსთქვა შიოლამ.— შენ იმახი საქმეს გაგირიგებო, ძალიან კარგი—გაარიგე და დაასახელი გასა-მრჯელოდ რამდენი ცხოვარი გინდა, თუ ცხოვარი არ ვინდა—ფული სთქვი და სტუმრის ღალატი-კი არ შეიძ-ლების.

— შენ იცი. მე Იაგოს დაჭერის მეტი არა მინდარა.

— აბა მაშ ვერ მოგატყუებ. თუ Იაგო მესტუმრა, პური და მარილი გატეხა ჩემთან, იმას ველარ ეღალა-ტებს.

— მაშ ის მაინც მითხარ, სადაა ეხლა?

— ღმერთს არ მოეტყუების, არ ვიცი და თუნდა ვიცოდე კიდეც არ გეტყოდი.

— რაისთევი არა, რაისთევი?

— Იმისთვი, რომ Იაგო ყველგან განთქმულია, ყველას საყვარელი, შენ-კი ურჯულოებს უნდა მისცე ხელში... შენთვის რომ დაეშავებინა რამე, რო-გორც მეზობელი, ვეცდებოდი მომე-რიგებინე. მაგრამ შენთვის იმას არა დაუშავებიარა; ეშმაკის მუშა გამხდარ-ხარ და მეზობელს დასაჭერად დაზ-დევ.

— შიოლაუ! ნაჩალნიკს ეგრე აქვს ჩაგონებული, რომ Იაგო შენთან იმა-ლება, შენთან დიდას.

— რაი საკვირველია, რომ აქ და-დიოდეს. Იაგო ჩემი მოძმეა, ჩემი მე-ზობელი... Იმას შარსა სდებენ, ტყუ-ილ უბრალოდ აწვალებენ და რაი საკვირველი იქნებოდა, რომ დამემა-ლა.

— ნუ შიოლავ, აგრე ნუ, თორემ დაგღუპენ, დაგანელებენ...

— რაიც უნდა მიყონ, თუ სტუმ-რად მეწვია ვინმე, ვერ ულალატებ!

— ბაფთხილდი!

— რაიღა გავფთხილდე?.. მამული აღარ შემარჩინეს და საცხოვრებელი! ახლა სლუმრის მოღალატედაც უნდა გამხადან?!

— ბადაწყვეტილია, არ გვიშველი, რაღა?

— არა!

— მაშ დიანბეგთან უნდა წამოხვი-დე.

— რაისთვი?

— ეგრე მაქვს დაბარებული... ჩა-მოდი თავად მოელაპარაკე.

— არ წამოვალ!—ცოტა ფიქრს შემდეგ უპასუხა შიოლამ და ამ სი-ტყვებს შემდეგ ის წამოდგა და გაე-მართა ცხვრის შინისაკენ, სადაც ეს არის ეხლა სადილი ჭამეს.

ბირგოლა, რომელმაც აღარ იცო-და, რითი მოემხრო ეს ძალა მქონე-ბელი მეცხვარე, უკან გამოდგა. Იმან გარდაწყვიტა, რომ რითიც იქნებოდა გადაეხადა შიოლასთვის ამ გვარი სი-ჯიუტე.

ა. მოჩხუბარიძე.

(გაგრძელება)

ნებული ვართ—ეს სასწავლებელი სწორედ იმ განზრახვით არის დაარსებული, რომ ნამდვილი საზოგადოსენი ამოთვხვრას ჩვენი საზოგადოების ნიადაგიდამ; ეს სენი გახლავსთ ზოგიერთ პირებისაგან არა საქები სარგებლობა ეხლანდელის საზოგადო მოთხოვნილებით სწავლა-განათლების სურვილში.

ჩემი ვალი იყო, როგორც ამ საქმის ახლო მცოდნე პირისა, მეთქვა; რისიც თქმა მინდოდა, რადგანაც მეტი უსამართლობა (მეტი რომ არა ვსთქვათ) იქნებოდა უსაფუძვლოდ კეთილ-განზრახულ საქმის ჩაფუშვა. ის არ კმარა, რომ ამ საქმის დაწყებით ზოგიერთებს „საქალამნო“ მოაკლდება და მოდი ერთი უსარმოთო. არა. საჭიროა საზოგადოსენზედ პირ-და-პირ უფარდოდ დასახელებით მიუთითო, უჩვენო ბუდე, სადაც ბინადრობს „თქვენგან ნახსენები ოსტატების (დურგლებია თუ?!) ოინები“.

დამეთანხმეთ, ეს უფრო პატიოსნური იარაღია და, ამის გარდა, არა ერთი ათი და ასი მშობელი შემოგწირავთ მადლობას.

ა. დუღაძე.

11 ენკენისთვე.

## თფილისის სამკურნალო.

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი და დანიელ-ბეგოვი—მარდვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდვების სისუსტ. ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ზაზაევი—მარდ. სისუსტის ავათმყოფობისა.



# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცნობებს რომ 7 ენკენის გამგეობის სადგომში მუდამ დღეობით დილის 9 საათ. ნაშუადღევის 2 საათ. შეიძლება ხილვა ქალაქის ხმოსანთა სიისა ოთხის წლისა 1883—1886 წ. პირნი, რომელნიც შეცდომით არიან მოყვანილი ამ სიაში ანა და სულ გამოტევებულნი არიან, შეუძლიან თავიანთი მოსაზრებანი გამგეობაში 7-ამ 21 ენკენისთვემდის. ეს მოსაზრებანი შემდეგში წასდგინება ქალ. რჩევას. (3—1)

---

გამოვიდა და ისყიდება შემოკლებული

**საქართველოს ისტორია**

შედგენილი

მამსაშვილი-ცამციევის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში ლორისმელიქოვის ქუჩაზე ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში

ფასი 70 კაპ. (5—1)

---

**პირველ სკრიპკაზე დამკვრელი**

**ტფილისის რუსული ოპერისა**

**ვ. ზ სალინი**

აძლევს გაკვეთილებს სკრიპკაზე. მისი ნახვა შეიძლება 5 საათიდამ 7 საათამდე საღამოისა. გოლოვინის პროსპექტზე ტრეგუბლოვის სახლში № 1 ეზოში. იქვე ისყიდება სკრიპკა **რუდჟერის** ხელობისა 500 მანეთად. (3—2)

---

**ღირსეულს და განათლებულს**

ოჯახში მიიღებენ ქალებს საქალებო სასწავლებლებში მოსამზადებლად.

პირობების შეტყობა შეიძლება გორში, გატ. დირექტორ სემენოვის ოჯახში. (10—2)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# ეროვბა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ.

---

# მაღაზია

**სალიანის თევზეულისა**

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭერილი თევზეული საგანგებოდ მომზადებული და ისყიდება წვრილადაც და პარტიითაც. აქვე ისყიდება ყოველ დღე მოხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—12)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

# სახსოვარი

**ბატონიშვილის ალექსანდრეს-მის ირაკლის გარდაცვალებაზე.**

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

---

**ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი**

# მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში**: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში**: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.

**გორში**: მ. კერესელიძესთან.

---

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი

**მწყემსის სტვირი**

**ლექსები, სიმღერები და ზღაპრები**

ცნობის-მოყვარე ყრმათათვის სკოლაში და შინ საკითხავად

აღაიანცისა

გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსი.

ფასი ერთი აბაზი

(10—10)

---

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

---

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გადმოქცილი თ. რ. ერისთვისა.

---

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

---

**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დახლებზედ 1 სეკტემბრიდამ 1 ოკტომბრამდის.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | —1 გირ. | — |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | |
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 4½ |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 8 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 14 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | — კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | — კ. |

---

**გამოვიდა ცალკე წიგნათ**

დრამა

# სამშობლო!

**ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.**

ფასი 60 კაპ. (20—20)

---

**ბიბლიოგრაფიული განცხადება.**

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შესწორებული გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და ვინც ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარს, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. გზისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Сентября 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი